ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** ხუთშაბათი, 1 ნოემბერი **№ 1628**

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.**

მარიამ გაბრიელის ასული ჩხატაშვილისა, ანნა დიმიტრის ასული კალატოზოვისა, თამარ დიმიტრის ასული ბარნოვისა და ივ. ჩხატაშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 3 ნოემბერს, წლის თავზე, რაც მათ დაჰკარგეს პირველმა საყვარელი პირმშო შვილი, ხოლო დანარჩენთ—დაუვიწყარი ნორჩი და

მ ა ნ ა ნ ა

ქ. თელავში, ღვთის-მშობლის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მისი სულის მოსახსენებლად. (1—1)

აზ. გიორგი კაცია ძე ორჯონიკიძე და მეუღლე მისი ატატო და შვილები მათი ახქსენტი და სიმონ ორჯონიკიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი საყვარლის შვილისას, ხოლო მეორენი—ძვირფასის ძმისას

სეფე გიორგის ძის ორჯონიკიძისას.

უმორჩილესად სთხოვენ მობრძანდნენ სოფ. ღორეშაში კვირას, 4 ნოემბერს, გასვენების დღეს. (1—1)

ხუთშაბათს, 1 ნოემ **ქართული თეატრი** ბერს 1901 წელს

✡ **ბენეფისი ბ. ქ. შათირიშვილისა** ✡

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით

პირველად ახალი პიესა

I

ავადმყოფი ხალხი

დრამა 2 მოქ. გაუპტმანისა თარგ. ვ. გუნიასი.

II

ოქროს ევა

კომ. 3 მოქ. თხზ. შანტენისა თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, კარგარეთელი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი და აფხაზიშვილისა; ბ.ბ. ალექსი-მესხიშვილი, ყიფიანი, გუნია, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, სარჯველაძე და სხ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

შემდეგი წარმოდგენა კვირას, 4 ნოემბერს. რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

კბილის საექიმო კაბინეტი

ელისაბედ რომანიშვილისა

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდან შუადღის 2 საათ. და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე. ოლგინის ქუჩის დასწვრივ ვერის თავდაღმართზე, ოსიფოვის სახლი № 1.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

გ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ი. ზ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ა. ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ს. ა. ვოინო.—ხირურგიული, ხუთშაბათობით და შაბათობით 1—2 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 274. (წლ.)

ვეფხის-ტყაოსანი

ს ც ე ნ ე ბ ი

შოთა რუსთაველის

პოემიდან, რუსულად შედგენილი **რ. ყანგარის-მიერ** სურათებით. **ფასი 1 მან.**

საწყობი—ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში. ისყიდება იქვე და ხიდდეკელის მაღაზიაში. (50—5)

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 4 ნოემბერს, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია **საზოგადო კრება** განსაგრძობად 28 ოქტომბრის საზოგადო კრებისა. განხილულ უნდა იქმნეს: 1, სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1901 წლისათვის; 2, არჩევანი გამგეობის წევრთა და თავმჯდომარისა; 3. არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა და 4, არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—1)

ე ქ ი მ ი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

მ კ უ რ ნ ა ლ ი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, №16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

ჩვენი ხალხის გასაჭირი და ჩვენი მოთავე საზოგადოების გულ-გრილობა

არას დროს ისეთ გასაჭირ-განსაცდელში არ ყოფილა დასავლეთ-საქართველოს მცხოვრები ხალხი, როგორც ამ ჟამად არის: ერთად-ერთი მისი სარჩო-საზრდებელი—სიმინდის მოსავალი—სრულიად გაფუჭდა. ძველი და ახალი სიმინდის მოსავალი სრულიად დაკარგულია ახლად მოვლინებულ რაღაც—ჭიას მიზეზით. რუსები იტყვიან, „სანამ ქექა-ქუხილი არ ასტყდება, გლეხი პირჯვარს არ გადაიწერსო," მაგრამ ჩვენ არც ქექა-ქუხილი და არც რისხვა-ვაება გვაფხიზლებს. იმდენად გავგულ-გრილდით და გავგულ-ქვავდით განურჩევლად წოდებისა, რომ სხვისი გაჭირვება, წუხილი, ტანჯვა სრულიად არაფრად არ მიგვაჩნია, თუ ჩვენ თვითონ ფიზიკურად არ ვგრძნობთ სიმწარეს. იმ დროს, როცა ჩვენი ხალხის უმრავლესობა ასეთ გასაჭირ-განსაცდელშია, ჩვენი ქონებით და გარემოებით უმჯობეს მდგომარეობაში მყოფნი ათასობით და ათი-ათასობით ვხარჯავთ და ვფანტავთ ფულებს უნაყოფო ქეიფ-მასპინძლობაში. რაც უნდა ეცადო, რაც უნდა შეაბრალო თავი ჩვენებურ საკმაოდ შეძლებულ კაცს, გროშს ვერ გამოამეტებინებ გაჭირვებული ადამიანის—მოძმის დასახმარებლად და ამავე დროს ასეთი კაცი ათასობით აგებს ბანქოში ვინმე ბრწყინვალე ადამიანის გულის მოსაგებად. თუ კი მართლა შერჩენილია ჩვენი საზოგადოების რომელიმე ნაწილში რამე მრთელი გრძნობის ნატამალი, უნდა ეხლავე გამოიჩინოს მან მისი თანაგრძნობა-შემწეობა განსაცდელში მყოფ ხალხის უმრავლესობისადმი.

მიუცილებელი საჭიროა ეხლავე, დაუყოვნებლივ გაგზავნილ იქმნეს იმ ადგილებში, სადაც მოსავალი გაფუჭებულია, მცოდნე, გამოცდილი აგრონომები, რომ ადგილობრივად ხალხს ნათლად, ადვილ-გასაგებად აუხსნან საშუალებანი და ზომები ამ მავნე მოვლენის ასაცილებლად.

უნდა დაუყონებლივ მიღებულ იქმნას ზომები, რომ მომავალი მოსავლისათვის საჭირო თესლი სოფლის მწარმოებლებმა საღად შეინახონ მცოდნე კაცების ზედამხედველობით. მხოლოდ ამ წესით შეიძლება მომავალი წლისათვის გაფუჭებული ჭიანი თესლი აღარ გავრცელდეს; უნდა დაიბეჭდოს ეხლავე ქართულ ენაზე პატარა წიგნაკები: დარიგებანი, სიმინდის მუშა-მწარმოებელი ხალხის საყურადღებოთ და დარიგდეს უსასყიდლოთ სოფლებში. ყველა ამ საქმეს სჭირია მზრუნველობა და ფული.

ჩვენი პრესსის მოვალეობაა მოიწვიოს ჩვენი საზოგადოება ამ ფრიად საჭირო საქმეში დასახმარებლად, ხელის მოსაწყობად.

ნიკო თავდგირიძე

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

30 ოქტომბერი

პეტერბურგი. 29 ოქტომბერს დაბრუნდა პეტერბურგს ვორონეჟის გუბერნიიდან პრინცესსა ევგენია მაქსიმილიანის ასული ოლდენბურგელისა.

ჩამოვიდნენ დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასული მეუღლით პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგელით.

სარატოვი. მოუსავლობით დაზარალებულ მცხოვრებთათვის სათესლედ დაუმზადებიათ 990,000 ფუთი ხორბალი. 250,000 შვრია, 20,000 ფეტვი, 2,000 ფ. კანაფი. სტარორეჩიეს სილისაგან გაწმენდაც ამ დღეებში დაიწყება.

ხარკოვი. საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს ჩამომავლობით საპატიო მოქალაქე ა. პ. რიჟოვი.

განჯა. 29 ოქტომბერს კავკასიის მთავარ მართებელი იყო განჯაში და დაწესებულებები დაათვალიერა.

პეკინი. ჩინეთის გარეშე საქმეთა უწყება იტყობინება, რომ საიმპერატორო სახლობა ჩამოვა პეკინში დაახლოვებით ერთის თვის შემდეგ.

ვარშავა. დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე კვირას იყო ოფიცრების საკრებულოში, ორშაბათს სუვოროვის კადეტთა კორპუსი ინახულა და ისადილა გენერალ-გუბერნატორთან. საღამოს ვარშავიდან წავიდა.

კვირას შესდგა პირველი კრება ისტორიის, ფილოლოგიის და სამართლის ახალ საზოგადოების იურიდიულ განყოფილებისა. კრებას ბევრი დაესწრო და კამათიც საინტერესო იყო.

ბერლინი. გერმანიის ელჩმა ლონდონში გაცფელდმა სამსახურს თავი დაანება.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. მაშ რა ჯავრი სჭირდა, რად დაითხოვა მთავრობამ გენერალი ბულერი? რათა და მათა, რომ ეს გენერალი რობერტსისა, კიტჩენერისა და სხვა გენერლებივით მარტო თავის სარგებლობასა, სახელსა და დიდებას კი არ დაეძებსო,—ამბობენ ლიბერალები. ეს ნამდვილი პატიოსანი ინგლისელი მამულიშვილია და ინგლისის სახელისა და დიდებისათვის ცდილობსო. სამხრეთ-აფრიკის საქმეებს იმ თავითვე უფრო შეგნებულად, სწორედ უყურებდა, ვიდრე ჩვენი მთავრობა და საკუთარი სარგებლობის მეძიებელნი გენერლები.

ჯერ იყო და ბულერმა ჯემსონის თარეში დაჰკრა და ხმა მაღლა მოითხოვა, რომ მაშინდელნი გმირნი სასტიკად დასჯილიყვნენ. ამით ძრიელ აწყენინა ყოვლად ძლიერ კაპიტალისტს სესილ როდსს და მის მეგობარს ჩემბერლენს. მერე, იმის დროს რობერტსს ერჩია ბულერისათვის: დეპეშებს ეგრე გასწვრივ-გასწვრივ ნუ სწერო, ცოტა გადსხვაფერე ხოლმეო. ბულერს ამაზე ცივი უარი შეეთვალა. მერე, როცა კრონიე დაატყვევეს, ბულერს მოურიდებლივ ეთქვა: სჯობს ეხლავე მოურიგდეთ ბურებსაო, ეხლა ასლი დროა ზავის ჩამოსაგდებადაო. ესეც გულში ჩაეჭრა რობერტსს. ამიტომ ბულერი სამხრეთ-აფრიკიდან წამოიყვანეს. აქ ინგლისშიაც ყოველთვის იმ აზრისა იყო, რომ ბურებთან შერიგება სჯობსო და მოურიდებლივ ჰგმობდა სამხედრო ბანაკებსა და საზოგადოთ მთავრობის უღირსობასა და გულ-ქვაობას.

ბულერი თვალში ეკლად გაუხდა მთავრობას და გენერალ რობერტსს. თითონ მთავრობა გაწუმებული იყო, მაგრამ თავისი მომხრე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეთები მოჰსია და მათ პირში ხომ თქვენი მტერიც ნუ ჩავარდნილა. რა არ მოუგონეს პატიოსან მოქალაქე—გენერალს? ბურებმა ბეჭედი დაჰკრესო, ომის დროს სულ ვანაში იჯდა და ბანაობდაო, სხვას არას აკეთებდაო. მთელ ქვეყნიერობაზე სწორედ თავს სჭრიდნენ. ბულერი ყველაფერს დიდის მოთმინებით იტანდა და ზიზღით უყურებდა გაზეთების ათასნაირ ცილის წამებას. ბოლოს, დათხოვნის წინად, გაზ. «ტაიმს»-მა გაილაშქრა გენერალზე. ბულერმაც ვეღარ მოითმინა და ერთ კრებაზე საჯაროდ პასუხი გასცა ამ მთავრობის მომხრე გაზეთს. აქაც გაზეთებმა გენერლის ნათქვამი სულ სხვანაირად აუწყეს მკითხველ საზოგადოებას. ბულერმა თქვაო: განა ინგლისში ნიჭიერი გენერალი არის ვინმეო? «ტაიმს»-მა უფრო სასაცილოდ გააკეთა და მოითხოვა, ეს გენერალი სამსახურიდან დაითხოვეთო, მით უმეტეს, რომ გენერალმა დისციპლინა დაარღვია და სამხედრო საქმეებზე საჯაროდ ილაპარაკაო.

მთავრობამაც შეისმინა კონსერვატორული გაზეთების თხოვნა, გენერალი სამსახურიდან დაითხოვა და თავისი დიდი ხნის სურვილი შეასრულა.

ლიბერალებმა დაიწყეს ჩივილი: კარგი, დაითხოვა, მაგრამ საჯაროდ რომ ილაპარაკა, რადა სწორედ იმაზე დაითხოვაო. განა ინგლისელ მოქალაქეს ლაპარაკის უფლება არა აქვს? ეგღა გვაკლია, რომ ლაპარაკიც აღგვიკრძალოს მთავრობამაო. ლაპარაკის თავისუფლება ყოველ ინგლისელს სახარების სიტყვასავით სწამს და ამიტომაც ლიბერალებს კონსერვატორებმაც ბანი მისცეს: თითქმის მთელი ინგლისი ბულერს გამოესარჩლა და მთავრობას კიცხვა დაუწყო.

ამაზე უსათუოდ დეპუტატთა პალატაშიაც ჩამოვარდება ლაპარაკი. ვნახოთ იქ რაღას იტყვიან და რას იქმონენ ინგლისის ერის წარმომადგენელნი.

✡ გაზეთები სწერენ: 22 ოქტომბერს, მეფე ედუარდ VII კაპის კოლონიის უფროსი მოსამართლე ბ-ნი ჰენრი ვილირსი მიიღო აუდიენციაზე. ეს ამბავი მით უფრო საყურადღებოა, რომ ბ-ნი ჰენრი ძლიერ თანაუგრძნობს ბურებს და კაპის კოლონიაში ჰოლანდიელი დასის მეთაურად ითვლება. მეფე დიდხანს ესაუბრა ვილირსს სამხრეთ-აფრიკის საქმეებზეო.

გამოჩენილი ლიბერალ მოღვაწეს ჯონ მორლეის კიდევ ულაპარაკნია სამხრეთ-აფრიკის ომზე. ქალ. ფარფარაში, კრებაზე „პატიოსან ჯონს» (ასე ეძახიან მორლეის) უთქვამს:

«მე მაბრალებენ, ბრიტანიის იმპერიას ასუსტებსო. ეს მართალი არაა. ჩემ მოწინააღმდეგეებზე არა ნაკლებ ვმაყობ ჩვენი იმპერიის ძალითა და შეძლებით, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ძალას და შეძლებას კეთილად მართვა შეგნებული და დალაგებული ჭკუა მოიხმარებს. ორი წლის წინად ვთხოულობდი, ტრანსვაალს ისეთი პირობები დაუდოთ, რომ სამხრეთ აფრიკაში მცხოვრებელ ჰოლანდიელებს ყველას მოეწონოს მეთქი. ორი კვირა რომ გავიდა, ამის შემდეგ კაპის ერთმა მინისტრმა მოსწერა ბრიტანიის მთავრობის წარმომადგენელს: «ეჭვი არაა, ბრიტანიის იმპერია გაიმარჯვებს ამ ომში, მაგრამ ამ ომს ისეთი სამწუხარო შედეგი მოჰყვება, რომ რამდენიმე თაობა ვერ დაივიწყებსო». მთავრობამ ყური არ დაუგდო ამ გაფრთხილებას. ეხლა რასა ვხედავთ? ომი უფრო და უფრო ჭიანურდება. ისეთი საშინელი სისხლის დვრა მოჰყვა ამ ომს, რომ მართლაც და რამდენიმე თაობა ვერ დაივიწყებს. მაშ ვინა ყოფილა იმპერიის უკეთესი მეგობარი: ისინი, ვინც ორი წლის წინად გირჩევდნენ მოთმინებას, თუ ისინი, ვინც ეხლა გირჩევენ მოთმინებასა?

მორლეიმ გაიხსენა, ომმა უდიერი ხარჯი გამოიწვიაო და განაგრძო:

«ახალი ქვეყნების შეძენა გაძლიერების მაგივრად ასუსტებს იმპერიას. გაჭირობაშიაც ამერიკელების მოცილეობა გვემუქრის, ამიტომ ჩვენ უნდა მოვაკლოთ და არა ვუმატებდეთ სახელმწიფო ვალებს. იმის მაგივრად, რომ ყველა ამაზე ეფიქრათ, ჩვენი სახელმწიფო კაცები გულის თქმასა და ჟიბრს აჰყვნენ.

✡ გაზ. «მატენ»-ის ლონდონელი კორესპონდენტი სწერს:

«ლონდონში ყველას გული გაუტყდა და იმედი გადაუწყდათ, რომ სამხრეთ-აფრიკის ომს როდისმე ბოლო მოეღოს. თვით მთავრობასაც კი დაეკარგა იმედი. ამიტომ საკვირველი არ იქნება, რომ მთავრობამ ბურებს უფრო კარგი ზავის პირობები დაუდოს, ვიდრე ამ რამდენიმე თვის წინად დაუდო. თვით ის კაცებიც, ვინც ეხლა-ხან ბურების სრულს დამორჩილებასა თხოულობდნენ, ეხლა ამბობენ: ბოტასა და მის ამხანაგებს მთავრობა ისეთ თვით მმართველობის წესებს უნდა დაჰპირდეს, როგორიც კანადას აქვსო».

ასე უმოქმედნია ბოტას გამარჯვებას მაგრამ მივა თუ არა ლონდონში ამბავი, ინგლისის ჯარს გაუმარჯვნიაო, ხალხიც უცებ შეიცვლის გუნებას და ისევ ბურების სრულს დამორჩილებას მოითხოვს. ეს ორი წელიწადია, რაც სულ ამისთანა ამბავსა ვხედავთ.

ავსტრ-უნგრეთი. ინგლისს სამხრეთ-აფრიკის ომმა გაუჭირა საქმე, ავსტრიას კიდევ ჩეხებისა და გერმანელების ბრძოლამ. დაიწყო თუ არა ბიუჯეტის განხილვა, პარლამენტი ისევ აირია. ჩეხები უჩივიან კერბერს, სულ გერმანელებს ჰკერძავო, გერმანელები კიდე უსაყვედურებენ, ჩეხების მხარი გიჭირავსო. ბიუჯეტის განხილვის დროს მლადოჩეხს კრამარს უთქვამს:

«თუმცა ჩეხების ერს დიდად აწყენინა მთავრობამ, როცა გრაფ ბადენის განკარგულება ენების შესახებ გააუქმა, მაინც ჩვენ დავთანხმდით მთავრობას. ობსტრუქციას თავი დავანებეთ და პარლამენტის წესიერ მუშაობას ხელი შევუწყეთ. იმედი გვქონდა, რომ გერმანელთ ზომიერი დასები ეხლა მაინც გონებაზე მოვიდოდნენ და პარლამენტის სარგებლობის გულისათვის ჩეხების ერს დააკმაყოფილებდნენ. ეხლა დავრწმუნდით, რომ ჩვენმა დამშვიდებამ უფრო წააქეზა გერმანელები. გერმანელებს უნდათ, რომ გრაფი ბადენის განკარგულება საუკუნოდ იყოს გაუქმებული. ამიტომ ჩვენ, მლადოჩეხები, ვაცხადებთ, რომ ამას იქით მთავრობას დახმარებას აღარ გაუწევთ».

პანგერმანისტმა ვოლფმა უპასუხა: ვიდრე მთავრობა და პარლამენტი არ შეიგნებს, რომ ავსტრიაში მარტო გერმანული ენა უნდა იყვეს სახელმწიფო ენად, მინამდე პარლამენტი არ დაწყნარდება და წესიერ მოქმედებას ვერ შეიძლებსო. გერმანული ენა უოველთვის ყოფილა და ამას იქითაც იქმნება სახელმწიფო ენად ავსტრიაშიო. გერმანელები მედგრად დაიცავენ თავიანთ ენის უფლებასაო. დასასრულ, ვოლფს მკაცრად გააკიცხა ჩეხების ქცევა.

ვოლფს ჩეხმა დეპუტატმა გეროლდმა უპასუხა—გეროლდმა პროტესტი გამოუცხადა ვოლფსა და თავისი დასის სახელით თქვა: ჩვენ ვერ დავპირდებით მთავრობას, რომ ყოველთვის დახმარება გაუწიოთ; დავხედავთ, როგორ მოიქცევა მთავრობა, როგორ შეასრულებს ჩვენ მოთხოვნილებას და ამის დაგვარად მოვიქცევითო.

ასე თუ ისე მაინც პარლამენტმა ერთჯერ წაიკითხა ბიუჯეტი და კომისიას გადასცა განსახილველად.

ოსმალეთი. ახალგაზრდა ოსმალების დასი ხშირად გვეხსენებია და რას თხოულობენ, რა უნდა ამ დასს, კი არ გვითქვამს. გაზ. «როსსია»-ს კორესპონდენტი იწერება:

«ახალგაზრდა ოსმალები თავდაპირველად პრესის თავისუფლებას თხოულობენ. ეს დასი ამბობს: «ისეთი თავისუფლება, როგორიც ევროპაშია, არ გვინდა. ჩვენ მარტო იმასა ვთხოულობთ, რომ ასეთი სასტიკი ცენზურა ნუ იქნება. ჩვენი ცენზურა წრეს გადადის, ნამეტანს სჩადის, უცხოეთის გაზეთებიდანაც კი არ გვათარგმნინებს ამბებსაო. ცენზურის წინააღმდეგნი არა ვართო. მაგრამ ჩვენი ცენზურა ცენზურა კი არაა, რაღაც ღვთის რისხვააო. ცენზურები რასაც უნდა იმას სჩადიანო. ხან-და-ხან ზოგიერთ სულ უბრალო წერილს წაშლიან ხოლმეო. იმის მაგივრად, რომ ერთიღე სიტყვა ამოშალოს, ცენზორი მთელ წერილს იჭერსო. წერილის შესწორება საჭიროც არის, მაგრამ მთლად წაშლა წერილისა, ისიც ნათარგმნისა—მეტის მეტი უსამართლობააო.

ამას გარდა ახალგაზრდა ოსმალები კიდევ ბევრ რამეს თხოულობენ, მაგრამ თავი დავანებოთ, თორემ იმათი აუთლა ხელს არ მოგვცემს.

სამხრეთ-აფრიკა. კაპშტადტიდან იწერებიან: «ამას წინად ბურებს ერთი ინგლისელი ოფიცერი ტყვედ წაუყვანიათ და თოფით დაეხვრიტათ. ბურების მთავარ-სარდალს ბოტას წერილით შეუტყობინებია ლორდ-კიტჩნერისათვის: ეს ოფიცერი იმიტომ დავხვრიტეთ თოფით, რომ თქვენც უსამართლოდ მოექცეთ ჩვენ სარდლებსაო. რაზე დახვრიტეთ თოფით ლოტარი, შემანი და სხვებიო? ამას გარდა სხვა ოფიცრებსაც დაგხვრეტთ თოფითაო».

ვნახოთ მართალი გამოდგება ეს ამბავი თუ არა?

ახალი ამბავი

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოების ინჟინერი ბ-ნ რიდზინსკი უკვე ჩამოვიდა ტფილისში და ამ დღეებში ტფილისის ქალაქის გამგეობას წარუდგენს პროექტს ტფილისში **ელექტრონით მოძრავ ტრამვაის** გამართვის შესახებ.

◆ ტფილისის სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტი შუამდგომლობს ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ ტფილისის მომავალ **სავაჭრო სკოლაში** სწავლის ფასი იყოს 80 მან. წელიწადში. სკოლა მალე გაიხსნება და ჯერ-ჯერობით იქნება მხოლოდ 1-ლი და მოსამზადებელი კლასები პარალელურის განყოფილებებით; სკოლაში, რომელიც პირველ ხანებში მოთავსებული იქნება ტფ. საკომერციო სასწავლებლის შენობაში, მიიღება წელს 150 მოსწავლემდე.

◆ ჩათმის ნავთის მწარმოებელთ წინადადება მოუვიდათ სამთა-მადნო მმართველობისაგან, რომ **ეხლავ შეუდგნენ მუშებისათვის სახლების აგებას**; წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ნება არ მიეცემათ მუშაობა დაიწყონ, რადგანაც იქაური სანავთო ადგილი მეტად ცუდი საცხოვრებელია.

◆ მერძევეთა კრების თავმჯდომარე, ბ. ქალანთარი, სთხოვს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს—მოახდინოს საზოგადოების წევრთა განსაკუთრებული კრება, რომელზედაც განხილული უნდა იქმნას **საქონლის ჭირთან ბრძოლის** საქმე.

◆ როგორც გადმოგვცეს, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში აღძრულა საკითხი კავკასიის **პირუტყვთა და ფრინველთა გამოფენის** მოხდენის შესახებ.

◆ როგორც შევიტყეთ, თ **სახოკია** ფრანგულ ენაზე აბეჭდვინებს ქართულ ანდაზებს. ანდაზები მეტწილად თვით სახოკიას შეუკრებია.

◆ დღეს, 1 ნოემბერს, სათავად-აზნაურო თეატრში **ქართულ დრამატიული დასი** ბ-ნ ალექსი მესხიშვილისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით, დამსახურებული არტისტის ბ-ნ შათირიშვილის საბენეფისოდ, გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილ იქმნება პირველად ახალი პიესები: «ავადმყოფი ხალხი“ 2 მოქ. დრამა გაუპტმანისა თარგ. ვ. გუნიასი და „ოქროს ევა“ 3 მოქმედ. კომედ. თხზ. შანტენისა, თარგ. ა. ცაგარლისა.

◆ დღეიდან იწყება სწავლა **ტფილისის საბადოსნო სკოლაში**. ახლად მიიღეს სკოლაში 11 ბავშვი, ასე რომ წელს იქნება იქ სულ **44** მოსწავლე. სკოლის სასარგებლოდ გამოფენიდან შემოვიდა დღემდის 2700 მან., რაც შეძლებას აძლევს გამგეთ შეაკეთონ სკოლის შენობა.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაადგინა **საბადოსნო სკოლის გამგის ჯამაგირი** 1500 მანეთამდე ასწიოს და ამ თანამდებობაზე გამოცდილი სპეციალისტი მოიწვიოს. გარდა ამისა, იმავე საბჭოს განზრახვა აქვს გაჰგზავნოს სხვადასხვა სპეციალურ დაწესებულებებში პრაქტიკანტებათ ერთის წლის ვადით ის ყმაწვილები, რომელთაც წელს დაამთავრეს საბადოსნო სკოლის კურსი.

◆ ამიერ კავკასიის რკინის-გზების უფროსს ე. ლ. **გედენევს** 10 ნოემბრისათვის მოელიან ტფილისში პეტერბურგიდან; უფრო ადრე იქიდან ჩამოვლენ: მოძრაობის ნაწილის უფროსი ინჟ. ვერხოვსკოი, მატერიალურ ნაწილის უფროსი ინჟ. ლენჩევსკი და უმთავრესი ბუჰგალტერი ა. ს. პუშკარიოვი.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზების მმართველობას, როგორც გადმოგვცეს, განზრახვა აქვს მოკლე ხანში მოახდინოს **შესადარებელი გამოცდა კეროსინით განათების** სამის ახალის სისტემისა: „ამერიკული ვაშინგტონისა,» «გერმანულ ვაშინგტონისა“ და ინჟ. გალკინის მიერ მოგონილისა.“

◆ გუშინ, ნაშუადღევის მესამე საათზე, გოლოვინის პროსპექტზე **ცეცხლი წაეკიდა** თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის სახლს. ცეცხლი გაჩნდა ქვედა სართულში მოსესოვისა და ვაზინის მაღაზიებში. ვაზინის მაღაზიაში ყველა საქონელი დაიწვა; პატრონის განცხადებით, ეს საქონელი 15 ათას მანეთზე მეტი ღირდა, ხოლო დაზღვეული ჰქონდა 5 ათას მანეთში. მოსესოვის ზარალი ნაკლებია. ცეცხლის მქრობი რაზმი მალე მოვიდა და ცეცხლი ჩააქრო, ასე რომ ზედა სართულზე აღარ გადასულა.

◆ გადამდებ სენით საავადმყოფოში ამ თვის 22-დან 29-მდე მიიღეს ორი ავადმყოფი **ქუნთრუშით**, სამი—ყელის ტკივილით; მათ შორის გარდაიცვალა ერთი ქუნთრუშიანი. სულ საავადმყოფოში არის 21 ქუნთრუშით და 4 დიფტერიტით ავადმყოფი. თავისუფალი ალაგი არის სამი.

◆ ს. ხაშმში ამ თვის ხუთმეტამდე **ქუნთრუშით** იყო ავად რვა ყმაწვილი, ახლად გახდა ავად ერთი, მორჩა ოთხი, გარდაიცვალა ორი. ამ თვის 29-მდე დარჩა სამი ავადმყოფი ბავშვი.

◆ ს. შილდაში ოქტომბრის ხუთმეტიდან ოცდა-ორამდე **ქუნთრუშით** გახდა ავად შვიდი სული, მათ შორის სამი გარდაიცვალა, ორი მორჩა და ორიც მალე მორჩება.

◆ „კავკაზ“ ს ატყობინებენ, რომ სიღნაღის მაზრის სოფ. გეჯეთში ოთხს შეიარაღებულს ბოროტ-მოქმედს **გაუცარცვავს** გლეხი ივანე ასანია და თავ. დადიანის მეწისქვილე ივ. კუპრეიშვილი. ბოროტ-მოქმედნი ღამის 2 საათზედ მისულან ასანიასთან და დაურახუნებიათ კარზე; სახლის პატრონს ვინმე მოკეთე ჰგონებია და გაუღია კარი; ქურდებს ერთი კარებზე დაუყენებიათ, სამნი კი სახლში შესულან და ხანჯალ ამოღებულთ ფულების ძებნა დაუწყიათ და, მიუგნიათ რა ერთი ოქროს ბეჭედი 5 მან. ღირებული და 10 მან. ფული, წაუღიათ და წასულან. შემდეგ გაუვლიათ მეწისქვილე კუპრეიშვილთან, მისთვისაც წაურთმევიათ 30 კ. და სადღაც მიმალულან. ქურდების აღმოსაჩენად ყოველივე ღონისძიებაა ხმარებული.

◆ დღეს 1 ნოემბერს, ტფილისის **სამოსამართლო პალატაში** განსახილველად დანიშნულია საქმე შტაბ-როტმისტრის კონსტანტინე ცომაიასი, რომელსაც პოლიციის ბოქაულისათვის წინააღმდეგობის გაწევა და შეურაცხების მიყენება ედება ბრალად, და სერგო ხვადაგიანისა, რომელსაც კაცის მძიმედ დაჭრა ბრალდება.

◆ გუშინ საღამოს სხდომა ჰქონდა ტფილისის ქალაქის გამგეობას სხვა-და-სხვა მიმდინარე საქმეების განსახილველად.

◆ დღეს, ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექნება ქალაქის **საბჭოს იმ კომისიას**, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ქუჩების სახელების დარქმევა.

◆ რამდენისამე ხნის წინად პოლიციის მე-10 ნაწილში, ელისაბედის და ბატარეის ქუჩის შესართავთან, ტფილისის მოქალაქეს

გუშეგ კანდაროვს გაუმართავს ორთქლით **პურის საცხობი ქარხანა ფირმით „ზარია“.** ამ ქარხანაში პატრონს გამოუწერია გერმანიადან ყოველივე საჭირო მანქანები და მისი შემწეობით ამზადებს ქბილს საცხობად. დღეღამეში 500 ფუთამდე გამომცხვარს პურს ამზადებს თურმე.

◆ რედაქციამ მიიღო მ. გაჩეჩილაძის მიერ ზესტაფონში გამოცემული **პატარა წიგნაკი** „როგორ გაჩნდა ფულის ხმარება“, თარგმანი ი. ბერაძისა. წიგნაკი ღირს 5 კ.

◆ ამ თვის 29-ს, მე-9 ნაწილის ბოქაულს გამოუცხადა ნატალია დოლანოვისამ, რომ მისი მამა მოქალაქე იაგორა ივანეს ძე დოლანოვი ჭკუიდან შეიშალა და სახლში ყველასა სცემს და რაც მოხვდება, ამტვრევს. ბოქაულმა ეს შეატყობინა ტფილისის გუბერნატორს, რომელმაც გუშინ, 30-ს წინადადება მისცა მიხეილის საავადმყოფოს უფროს ექიმს—მიიღონ დოლანოვი შეშლილების განყოფილებაში.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში მისულა ნაძალადევის მცხოვრები დავით ლუაშვილი და განუცხადებია, რომ 28 ოქტომბერს, საღამოს, მის ძმებს ლარიონსა და ვასილ ლუაშვილებს წასჩხუბებიან რთველიაშვილი და ნ. მომცემლიძე. ჩხუბის გათავების რამდენიმე ხნის შემდეგ ლუაშვილებს გაუვლიათ ქუჩაში, აქ მათ წამოსწევია ნ. მომცემლიძე სხვებთან ერთად და ჯოხებით გაულახავთ ლუაშვილები, რომელთაგან ვასილი ხანჯლით დაუჭრია მუცელსა და ბეჭში, ხოლო ლარიონი გულში. ვასილი შემწეობის აღმოსაჩენად გაუგზავნიათ მიხეილის სამკურნალოში, სადაც ექიმების შემოწმებით აღმოჩენილა, რომ იგი საშიშოდაა დაჭრილი.

◆ 28 ოქტომბერს, პოლიციის მე-8 ნაწილში, ტფილისის მოქალაქეს ბეგლარ არინინს დანით მუცელში მძიმედ დაუჭრია ტფილისისავე მცხოვრები გიორგი გალეგოვი და სადღაც დამალულა.

◆ 30 ოქტომბერს, დილით, პოლიციის მე-10 ნაწილში, თავის საკუთარ სახლში მკვდარი უნახავთ ტფილისის მცხოვრები გოტლიბ გოტლიბის ძე რაიზერი. ექიმების შემოწმებით რაიზერი უეცრათ გულის გახეთქით გარდაცვალებულა.

◆ პოლიციის მე-8 ნაწილში, 28 ოქტომბერს პოლიციის მოხელეს დაუპატიმრებია თეირანის მოედანზე ყაზახის მაზრის მცხოვრები ყული-ქერბალაი-მამედ-ოღლი და ტფილისისა—იბრაგიმ-ოღლი, რომელთაც ყალბი ოქროს ხუთ მანეთიანის გასაღება ბრალდებათ.

რუსეთის ქრონიკა

✿ ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორმა წინადადება მისცა ფინლიანდიის სენატს შეიმუშაოს პროექტი ფინლიანდიის პირველდაწყებით სკოლებში რუსულის ენის სწავლების გაძლიერებისა. სენატმა ამ საქმის გამოსარკვევად განსაკუთრებული კომისია აირჩია («ნოვ. ვრემ.»).

✿ პეტერბურგის სამთო ინსტიტუტის მმართველობას გადაუწყვეტია დააწესოს სტუდენტების საკურსო და საზოგადო კრებები, რომლებზედაც სტუდენტებს ნება ექნებათ თავის საქმე-საჭიროებაზე კამათის და დადგენილებათა მოხდენისა. ეს დადგენილებანი სავალდებულო იქნებიან ინსტიტუტის ყველა სტუდენტებისათვის.

✿ პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის ნება-რთვით, პეტერბურგის 1-ლ სავაჟო გიმნაზიის მე 8 კლასის მოწაფეთ დაუწყიათ ყოველ კვირეულ სალიტერატურო ჟურნალის „უტრო“-ს გამოცემა. („რუსკ. ვედ.“).

✿ რუსეთის ზოგიერთ გიმნაზიებში განზრახვა აქვთ შემოიღონ სტენოგრაფიის სწავლება („რუსკ. ვედ.“).

✿ მთავრობას განზრახვა აქვს შემოიღოს საპატიმროებში სავალდებულო მუშაობა ყველა პატიმართათვის, გარდა ავადმყოფ-დავრდომილთა და გარდა იმათა, რომელთაც ერთ თვეზე ნაკლები უნდა დაჰყონ საპატიმროში („ნოვოსტი“).

პრესსა

გაზეთი «დონსკ. რეჩ“ ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ რუსეთში ცოტაა უნივერსიტეტები, მოთხოვნილება-კი მეტად დიდი და, სხვათა შორის, კავკასიასაც ეხება

„ცამეტი წელიწადია აგერ, სწერს გაზეთი, რაც ახალი უნივერსიტეტი აღარ გაუხსნიათ რუსეთში. უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში დაარსებულ იქმნა მხოლოდ ერთი უნივერსიტეტი (ციმბირში), მაშინ როდესაც მცხოვრებთა რიცხვი თითქმის გაორკეცდა. მცხოვრებთა რიცხვის ზრდას რომ შეეფერებოდეს უნივერსიტეტების რიცხვის ზრდაც, ახლა ჩვენ 12 უნივერსიტეტი უნდა გვქონდეს 9 უნივერსიტეტის მაგიერ. მაშასადამე, ჩვენ გვაკლია 3 უნივერსიტეტი, რათა იმდენად მაინც შეუთანხმოთ უნივერსიტეტის რიცხვს მცხოვრებთა რიცხვი, რამდენად ეს შეთანხმებული იყო მე 60 წლებში. ნორმალურად ჩასათვლელი არ არის ის გარემოება, რომ ჩვენში ერთი უნივერსიტეტი $14^1/_2$ მილიონ მცხოვრებზე მოდის... რუსეთში არის სამოსწავლო ოლქები, რომლებშიაც სრულიად არ არის უნივერსიტეტი,—ასეთებია: ვილნოს, კავკასიის, ორენბურგის, აღმოსავლეთ-ციმბირის ოლქები; ამათში არავითარი უმაღლესი სასწავლებელი არ არის, თუმცა საჭიროება დიდია».

გაზეთის სიტყვით, ყველაზე უფრო უნივერსიტეტი ეჭირვება კავკასიას. ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში 10 მილიონი მცხოვრებია, რომელნიც საკმაო რიცხვ სტუდენტებისას მისცემენ მომავალ უნივერსიტეტებსო; გარდა ამისა, ამბობს გაზეთი,

«კავკასიის უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს ამ მეტად თავისებურ და საინტერესო ქვეყნის შესწავლის საქმეს. დღემდის კავკასია სრულიად შეუსწავლელი რჩება. კავკასიის მრავალ ერთა ისტორია თითქმის სრულიად შეუმუშავებელია; ქართველთა, სომეხთა, ოსთა, ინგუშთა, აბხაზთა, ლეკთა და კავკასიის სხვა ერთა ენა, ზნე-ჩვეულება, გარდმოცემა, ადათი, მწიგნობრობა, ანტროპოლოგიური თვისებანი—ყოველისფერი გამოსაკვლევია და შესწავლის ღირსია. სტატისტიკთა და ეკონომისტთათვის კავკასია სრულიად ახალი მხარეა. არას ვამბობთ კავკასიის სამთო-სამადნო სიმდიდრის შესახებ: ეს ხომ ყველამ იცის... ერთის სიტყვით, კავკასია წარმოადგენს ვებერთელა ასპარეზს ყოველ გვარ მეცნიერთათვის; სოციოლოგები, ეკონომისტები, არხეოლოგები, იურისტები, ფილოლოგები, ისტორიკოსები, ბუნების მეტყველები—ყველანი იპოვიან აქ ძრიელ მდიდარ მასალას. ტფილისში უნივერსიტეტის დაარსება საჭიროა როგორც მცხოვრებთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისე მეცნიერების ინტერესებისათვის; საჭიროა აგრეთვე სახელმწიფო ინტერების მიხედვითაც, რადგანაც სახელმწიფო დაინტერესებულია კავკასიის მცხოვრებთა კულტურის გაძლიერებაში».

სამინდვრო კულტურის წარმომადგენელთა კრება

სამშაბათს, 30 ოქტომბერს, სამინდვრო კულტურის მოღვაწეთა კრებამ განიხილა ყველა საგნები. ეს ოთხი ხუთი დღეა ამ კრებებს ძალიან ნაკლებად ესწრებოდა ხალხი.

პირველად მოხსენება წარუდგინა კრებას ს. მ. მირზოევმა, რომელიც შეეხო საკითხს, თუ როგორ არის საზოგადოდ ჩვენში მიწით სარგებლობა დაყენებული და რომელი ფორმა მიწით სარგებლობისა უფრო საუკეთესოა. მირზოევმა აღნიშნა ის გარემოება, რომ კავკასიაში ჯერ კიდევ მიწა დიდ მემამულეთა ხელშია; აქამდე სამნაირი ფორმაა მიწის სარგებლობისა—ერთი იჯარით გაცემა, მეორე თვით მეპატრონესაგან მიწის დამუშავება და მესამე სალალოდ მიწის გაცემა დროებით ხელ-შეკრულობით. კრების უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ იჯარით მიწის გაცემა სასურველი არ არის, რადგან დროებითი პატრონი დაინტერესებულია მხოლოდ იმაში, რომ რაც შეიძლება მეტი ნაყოფი გამოაღებიოს მიწას და სრულებით არა სცდილობს მის დაპატივებას, რაციონალურად დამუშავებას და ასეთი საქმის მიმდინარეობა მიწის პატრონს ბოლოს ხელში დაუტოვებს გამოფიტულს მიწას. ზოგმა ის მოსაზრებაც გამოსთქვა, რომ სალალოდ მიწის გაცემა და ამნაირად მისით სარგებლობა იმდენათ მოძველებულია, რომ იგი უკვე თან-და-თან ისპობა და ადგილს უთმობს ქირით მუშის მოწვევასა და ამ საშუალებით მიწის დამუშავებას. ბ. ე. იოსელიანმა, ს. ზავაროვმა და სხვებმაც ის აზრი გამოსთქვეს, რომ ძნელად თუ ჩვენებურმა გლეხმა დააღწიოს თავი სიღარიბე სიღატაკეს, სანამ იგი მესაკუთრე არ გახდება და ამასთანავე არც მიწის რიგიანად დამუშავება შეიძლება, თუ მშრომელი უმრავლესობა მიწას, როგორც საკუთრებას, არ ამუშავებს. მშრომელთ უმრავლესობა მხოლოდ მაშინ მოითქვამს სულს და მოიწყობს თვის ოჯახს და ასე ნელ-ნელ წელ-გამარებული სამეურნეო სწავლასაც მიიღებს, თუ იგი სრული დამოუკიდებელი იქნება და დააღწევს თავს ფეოდალის ანუ მსხვილ მემამულეს ბრჭყალებს. სხდომაზე საყურადღებო ცნობები მოიყვანა ბ-ნმა ზავაროვმა გლეხების ცხოვრებიდან და დაახასიათა სამი სოფელი ბორჩალოს მაზრიდან; იმ სოფლის გლეხები, რომელნიც მესაკუთრენი გამხდარან, კარგად გალონიერებულან, სახლები კარგი გაუკეთებიათ, ოჯახში საკმაო საცხოვრებელი ძალა შეუძენიათ და ნელ-ნელა იმოდენა ფულისთვისაც მოუყრიათ თავი, რომ თანდათან ადგილებსაც იძენენ, მაშინ, როდესაც მოიჯარადრე ანუ ვალდებული გლეხები სიღატაკესა და სასოწარმკვეთ მდგომარეობაში არიან ჩაცვინულნი. შემდეგ ბ-ნმა გაიდუკმა წარუდგინა კრებას მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ ცუდად არის დაყენებული მეთამბაქოობა შავი ზღვის პირის გუბერნიაში იმ გარემოების გამო, რომ არ არის მოწყობილი თამბაქოს გაყიდვის საქმე და ხალხის ნაწარმოების გასაღებას შემთხვევითი ხასიათი აქვს, რითაც სარგებლობენ ვაჭრები და სულ მცირე ფასში ყიდულობენ თამბაქოს.

საყურადღებო მოხსენება წარუდგინა კრებას ბ ა. სააკოვმა იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მიწად-მოქმედების გაუმჯობესების საქმეში ერობის შემოღებას. ერობას მარტო სამეურნეო სპეციალური სკოლებისათვის ყოველ წლობით $2^1/_2$ მილიონი მანეთი ეხარჯება თურმე და საზოგადოთ სწავლა-განათლების საქმეზე კი 20 მილიონზე მეტი.

მრავალ საყურადღებო ცნობების მოყვანის დასასრულ სააკოვმა განაცხადა, რომ ერობას ესევე სიკეთე შეუძლიან ჩვენთვისაც და საჭიროა ჩვენმა კრებამაც გამოსთქვას სურვილი ასეთ დაწესებულების უსაჭიროესობაზე და ამით მიემხროს ყველა იმ დაწესებულებათ, რომელთაც მიიღეს უკვე წინადადება ჩვენში ერობის უსაჭიროესობაზე და შუამდგომლობაც კი აღძრა ქუთაისისა და ტფილის თავად-აზნაურობამ. თავმჯდომარემ ბ ნმა შიმანოვსკიმ ამ საგნის შესახებ მსჯელობის ნებაც არ მისცა კრებას. ეს ჩვენ კომპენტენციას არ ეკუთვნისო. ჩვენ მხოლოდ უნდა ვიქონიოთ მსჯელობა ისეთ დაწესებულების შემოღებაზე, რომელსაც შეუძლიან მიწად-მოქმედების საქმის პირდაპირი გაუმჯობესებაო და სხვანი. კარგა ხნის კამათის შემდეგ ბ-ნმა შიმანოვსკიმ ამნაირი წინადადება მისცა კრებას: ეთხოვოს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას გამოარკვიოს, თუ რომელი დაწესებულებაა უფრო საჭირო კავკასიაში მეურნეობის გასაუმჯობესებლად. დასასრულ კრებას საყურადღებო მოხსენება წარუდგინა ბ-ნმა ს. მ. ზავაროვმა—კავკასიაში საგლეხო ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ. რუსეთში საგლეხო ბანკს გლეხებზე თავის დასახსნელად ამ უკანასკნელს წლებში 60 მილიონი მანეთი გაუცია, 80 მილ. მან. მიწების შესაძენად და 1899 წელს კი 100 მილიონი მანეთი სესხად მიუცია გლეხობისთვის ოჯახის სხვა-და-სხვა საჭიროებაზე. ბ-ნმა ზავაროვმა, მოიყვანა რა ფრიად საყურადღებო ცნობები საგლეხო ბანკის რუსეთში მოქმედების დიდი ნაყოფიერების შესახებ, ითხოვა შუამდგომლობა იქმნეს აღძრული უმაღლეს მთავრობასთან გახსნას კავკასიაში საგლეხო ბანკის განყოფილებაო. კრებამ მიიღო ბ-ნ ზავაროვის წინადადება, მადლობა გადაუხადა თავმჯდომარეს და ნაშუალამევის 2 საათზე დაიშალნენ. ამით დასრულდა სამეურნეო კრებები.

პროვინცია

სოფ. ზარათი (ქუთაისის მაზრა). სოფ. ზარათი მიუვალი და მიგდებული სოფელია და, რომ გვერდზედ მდ. რიონი არ ჩამოუდიოდეს, აქ სოფელი არასოდეს არ გაშენდებოდა. სამივე მხარე სოფლისა შემოზღუდულია მაღალის მთაკლდეებით, მხოლოდ დასავლეთის მხრით მოდუდავს გიჟი რიონი, რომელშიაც მკვიდრნი პატარა ნავით გადი-გამოდიან ხოლმე გაღმა-გამოღმა მხარეზე.

ერთად-ერთი ჭალა უძევს სოფელს რიონის პირად, მაგრამ გაზაფხულზე და ზაფხულში ხშირი და დაჟინებული წვიმების გამო უმისოდაც დანესტიანებულ ჭალაში სიმინდის ყანები სულ ერთიანად გაფუჭდა და დალპა. ამ ჭალის გარდა, სულ ერთიანად ხელის-გულივით გატკეცილი და ფხრიწი ადგილებია სოფლად და იმაზედაც მხოლოდ აქა-იქ თუ ახერხებენ სიმინდის, ღომის და ლობიოს დათესვას. შირნახული ნახევარ წლამდისაც ძლივს გაჰყვებათ ხოლმე და ამიტომ იძულებულნი არიან სხვა რამ სამუშაოს მიჰყონ ხელი... მართლაც, აქაური გლეხის ბიჭები განთქმული მეტივეები არიან; სულ მუდამ დეჩხუმის ზემოდ ხე-ტყეში ატარებენ დროს, სჭრიან სატივე ხეებს და იქიდან ეზიდებიან ქუთაისს, ორპირს და, ასე გასინჯეთ, ფოთშიაც კი. ზოგიერთი ბიჭი ისე დახელოვნებულია მეტივეობაში, რომ, რაც უნდა ადიდებული იყოს რიონი, იგი არ შეუშინდება ტივის აშვებას და გამგზავრებას.

გარდა მეტივეობისა, აქაურები მისდევენ მედურგლეობას, წისქვილების კეთებაშიაც დავარჯიშებულნი არიან და სხვა-და სხვა ხელ საქმეს ეტანებიან, რომლითაც პარასკევობით და კვირაობით ქუთაისში ვაჭრობენ. კეცების კეთება და მეთუნეობაც ამათ ხელთ არის.

წინად აქ, როგორც იმერეთის სხვა სოფლებშიაც, კარგი თვისების ღვინოც დგებოდა. მაგრამ დრო ჟამის განმავლობაში ნაცარმა, მილდიუმ და განსაკუთრებით ფილოქსერამ ბოლო მოუღო და სრულიად გააქრო აქ ვაზის სახსენებელი. ახლა იმათი მოედანი დარჩა მდარე და უგემურ ადესას (იზაბელას).

ზარათის ახლო-მახლო მთებში, მამა-წმინდის ადგილებში გამოჩნდა მადანი «ბარიტი», რომელიც ფრანგების ამხანაგობამ ჩაიგდო ხელში: ამ ფრანგებმა კურცოვისაგან შეისყიდეს ქუთაისში წისქვილი, სადაც უნდა დაფქვან ეს მადანი და ისე გაიტანონ საზღვარ-გარეთ. უეჭველია, ეს მადნის წარმოების საქმე, მისი გადაზიდვა-გადატანა ქუთაისამდე აქაურების საქმე იქნება და ხალხი, სიღარიბით და უფულობით წელში გაწყვეტილი, ცოტა რამეს მაინც შეიძენს...

სოფელი ზარათი, როგორც მოგახსენეთ, ღარიბი სოფელია და სკოლა სრულებით არ გააჩნია. ეკლესია კი კარგი და მართლაც შესანიშნავი ააშენა სოფელმა და აი რა საშუალებით.

როდესაც ახალი ეკლესიის ბალავრის გათხრას შეუდგნენ პირველად, თურმე ერთი გლეხი შემთხვევით წააწყდა ერთ ქილას, რომელიც დედამიწაში ღრმად იყო ჩაფლული და ძველის ფულებით ავსებული. გლეხს ეს ამბავი არავისთვის არ გაუმხელია და პირდაპირ თავის სახლისკენ გაქანებულა: გლეხს ღამე ძილი არ ეკარება, რადგან მეტად აღელვებულია; ბოლოს მოეჩვენება მას ალისფერს რაშზედ მჯდომარე ვიღაც ძლიერი მხედარი, რომელსაც ალის ფერადვე ჭაერში აპრიალებული მახვილი უჭირავს ხელში და მუქარით შეუტევს გლეხს. შეშინებული გლეხი დილით თავისს საიდუმლო ამბავს ხალხს აცნობებს. გახარებულმა ხალხმა ის ფულები, როგორც ღვთისაგან ნაბოძები საჩუქარი, მოახმარა ეკლესიის აშენების საქმეს.

სასურველია, ამ ახლად აგებულს ეკლესიასთან სკოლაც გაიმართოს, რომ ამ მიყრუებულ სოფლის მოზარდმა თაობამ წერა-კითხვა ისწავლოს. ეს სურვილი მით უფრო კანონიერია, რომ ზარათში ახალგაზრდა, სემინარიაში ნას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლი მღვდელია და იგი, იმედია, ეცდება ეს კეთილი საქმე დააგვირგვინოს. —ფ.

ბათუმი. ბათუმში არსდება «დრამატიული წრე». რამდენიმე ქართველ ინტელიგენტს, რომელნიც კმაყოფილნი არ არიან სათეატრო საქმის უნუგეშო მდგომარეობისა ბათუმში, აზრად მოუვიდათ, დააარსონ «ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარულთა წრე». მიზანი საზოგადოებისა—ქართველთა შორის გავრცელება დრამატიულ ხელოვნებისა. თავის მიზნის მისაღწევად წრე შეადგენს თვითეულ სეზონში დროებითი დასს, რომელშიაც მიწვეულ იქმნებიან ქართულ თეატრების საუკეთესო მსახიობნი და უნიჭიერესი ადგილობრივნი სცენის მოყვარენი. ქართული წარმოდგენები ბათუმის სცენაზე გაიმართება სათეატრო საქმის მცოდნე და ნიჭიერ არტისტის ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის ხელმძღვანელობით. ამ რიგად წრეს იმედი აქვს, ერთის მხრივ, ადგილობრივ საზოგადოებას აჩვენოს საუკეთესო დრამატიული თხზულებანი გამოცდილ და ნიჭიერ მსახიობთა დახმარებით და ხან-და-ხან ბილეთებიც გაიაფოს მდაბიო ხალხის ხელ-მისაწვდომად; მეორეს მხრივ, შექმნას სკოლა ადგილობრივ სცენის მოყვარეთათვის, რომელნიც მოისურვებენ, წარმოდგენების დროს მონაწილეობა მიიღონ გამოცდილ არტისტებთან ერთად. ამ რიგად შეიძლება შემდეგში დაარსდეს მუდმივი ადგილობრივი დასი.

აქაური ქართველი საზოგადოება აღტაცებით მიეგება ინიციატორების ამ განზრახვას და მოუთმენლად ელის მთავრობისაგან დამტკიცებას წრის წესდების პროექტისას, რომელიც უკვე წარდგენილია, სადაც ჯერ არს. ვ·

სასამართლო

შაბათს, 27 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე შორაპნის მაზრის სოფ. კაცხის მამასახლისად ნამყოფის იოსებ გლახუას ძის ცერცვაძისა, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტმოქმედების ჩადენა ბრალდებოდა. იოსებ ცერცვაძეს კაცხის საზოგადოების მცხოვრების ზურაბ ბოკვერაძისათვის სოფლის სასამართლოში უჩივლია და ვექსილის ქაღალდით 20 მან. გადაუხდევინებია. ბოკვერაძეს შემდეგ საჩივარი აღუძრავს სასამართლოში, რომ ცერცვაძემ სულ ტყუილად გადამახდევინა 20 მან., რადგანაც ეს ფული მე კი არ მემართა, არამედ მამასახლისობის დროს ერთი საქმის გაკეთება დავავალე და ქრთამად 20 მ. მთხოვა და რადგანაც იმ ჟამად არა მქონდა, ვექსილის ქაღალდი ჩამომართვა, საქმეც არ გამიკეთა და ფული ისე გადამახდევინაო. მოწმეებს კიდეც დაუმტკიცებიათ ბოკვერაძის განცხადება და გამომძიებელს საქმე ოლქის სასამართლოში გარდაუცია. ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიას ეს საქმე განუხილავს დ. საჩხერეში ამ რამდენიმე თვის წინად; აღნიშნულ საქმის გარდა, ცერცვაძეს 17 ამ გვარი ბოროტ-მოქმედების ჩადენა ბრალდებოდა. ოლქის სასამართლო მრავალ მოწმეების ჩვენებით დარწმუნებულა ცერცვაძის დანაშაულობაში და გადაუწყვეტია ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლით გაგზავნა. ცერცვაძეს ოლქის სასამართლოს განაჩენი გაუსაჩივრებია ტფილისის სამოსამართლო პალატაში, სადაც მას იცავდა ნაფიცი ვექილი ოპოჩინინი. პალატამ დამნაშავედ იცნო ცერცვაძე და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

31 ოქტომბერი

ასტრახანი. კალმიკთა მინდვრებში ბალახის მოუსავლობისა გამო საქონლის პატრონები შევიწროებულნი არიან და შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე სესხის შესახებ.

ბაქო. 29 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, საბუნჩაში, ვიშაუსა და კასპიის ამხანაგობის ნავთის სამრეწველო რაიონში ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა 5 კოშკი და 6 აუზი. ზარალი 50-ათას მანეთს აღემატება.

ასხაბადი. 29 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, საგანგებო მატარებლით ასხაბადზე გაიარა და კრასნოვოდისაკენ წავიდა სამხედრომინისტრმა გენ. ლეიტ. კუროპატკინმა; იქიდან სამხედრო მინისტრი ბაქოში წავა სამხედრო გემით და შემდეგ პეტერბურგს გაემგზავრება, სადაც 5 ნოემბერს მივა. კრასნოვოდსკამდე სამხედრო მინისტრს მიაცილებენ თურქესტანის მხარის უფროსი გენ. ივანოვი და კასპის იქეთა მხარის უფროსი გენ. სუბბოტინი.

პარიჟი. პალატა განაგრძობს სავაჭრო ფლოტის შესახებ კანონ-პროექტს. კასტელენმა წარუდგინა პალატას წინადადება, რომელიც ასწორებს გუშინ მიღებულს კანონ-პროექტს უცხოეთში აშენებულ გემებზე პრემიების მოსპობის შესახებ. ვაჭრობის მინისტრმა და კასტელანმა მოითხოვეს, რომ წინადადება დაუყოვნებლივ იქმნას განხილული. ზოგიერთი ორატორი ამის წინააღმდეგი გახდა. ბოლოს გარდაწყვეტილ იქმნა, რომ წინადადება განხილულ იქმნას დაუყოვნებლივ. მილიერანი იცავს კასტელანის წინადადებას, რომელიც პალატამ მიიღო 272 ხმით წინააღმდეგ 255-სა.

ოდესა. ცეცხლი მოეკიდა ქალაქის ერთ საუკეთესო და მშვენიერ შენობას—მენდელევიჩის პასაჟს, დერიბასოვის და პრეობრაჟენის ქუჩების კუთხეში. ცეცხლმა გაანადგურა სახლის წინა პირი. სრულებით დაქცეულია ათი მანუფაქტურის მაღაზია. საქალებო სასწავლებელში, რომელიც მესამე სართულში იყო მოთავსებული, ერთი მოწაფე ქალი დაიღრჩო, რამდენიმეს ბოლოსაგან გული შეუწუხდა და ერთი იმათგანი გარდაიცვალა. ცეცხლის მქრობელთაგანიც დაშავდნენ. ზარალი ერთი მილიონია. ერთი ნაწილი საქონლისა დაზღვეული არ იყო. ცეცხლი პირველად გაჩნდა რუდნიანსკის აფთიაქის მასალის საწყობში, ძირს რდაფში, სადაც იფეთქა ბენზინმა. ცეცხლის მქრობელ რაზმს თვით „გრადონაჩალნიკი“ აძლევდა განკარგულებას. იქვე იყო ჯარების უფროსი გრაფი მუსინ-პუშკინი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. საერობო გამგეობას წინადადება შეაქვს საერობო კრებაზე, რომ დაარსებულ იქმნას საერთო საერობო გაზეთი.

ბერლინი. სახელმწიფოთა საბჭომ დაამტკიცა დღეს კომისიის დამატებითი წინადადება, რომელიც სადამოენო ტარიფს შეეხება, და შემდეგ დაამტკიცა თვით ტარიფიც.

პეტერბურგის ბირჟა 30 ოქტომბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,75
ბერლინზე 100 მარკაში	45,95
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,65
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,67$^1/_2$
ბირჟის დისკონტი	5$^1/_2$—7%
4% სახელმწიფო რენტა	96$^1/_8$ გაყიდ.
4$^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა	100 „
5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	464 მყიდვ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	342$^1/_2$ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	242 გაყიდ.
3$^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	88$^1/_2$ „
4$^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82$^1/_4$
ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ	—
4$^1/_2$% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

რედაქტორი **ალ. ჭყონია.**

გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

სამოსავლები ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

ა) ტფილისიდან ბათუმისაკენ: 1) საფოსტო მატარებელი გადის საღამოს 7 ს. 45 წ. (8 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო გადის დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).

ტფილისიდან ბაქოსაკენ: 1) სწრაფი მატარ. გადის (მხოლოდ ხარასკეობით) ნაშუადღევის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.); 2) საფოსტო—გადის დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.); 3) სამგზავრო—გადის საღამ. 9 ს. 36 წ. (10 ს. და 34 წ.).

ტფილისიდან ყარსისაკენ: საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ტფილისიდან ბორჯომში: სამგზავრო მატარ. გადის შუაღდის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.).

ბ) ქუთაისიდან ბაქო-ტფილისისაკენ 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.); 2)—შუადამის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდან ბათუმისაკენ: 1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ქუთაისიდან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

გ) ბათუმიდან ტფილისამდე და ბაქომდე: 1) საფოსტო მატარ. გადის საღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო მატარ. გადის დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.).

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ეძებს სადგომებს ღამის 1-ლ და მე-2 თავშესაფართათვის, ქალაქის შუაგულ ახლოს: 1-ლ თავშესაფრისათვის ამ წლის 1-ლ დეკემბრიდან, მეორისათვის—190 წლის 1-მარტიდან.

სადგომებში ას-ასი კაცი უნდა დაეტიოს და იქვე ოთახი უნდა იყოს ზედამხედველისათვის, სამზარეულო, შეშისთვის ფარდული და თეთრეულის სარეცხი.

ვისაც ჰსურს მიაქირავოს გამგეობას სადგომები, უნდა მიჰმართონ წინადადებით გამგეობის მე-4 განყოფილებას ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (ნ. 3—1)

ამერიკულ ვაზის სანერგეში

„კლდე-ყვავილი“

ისყიდება ერთი წლის ფესვ-გამაგრებულ ვაზი საუკეთესო ადგილობრივ, ყირიმის, ბორდოს, ბურგუნდიის, შამპანიის, რეინის და სხვათა ჯიშისა. მაქვს აგრეთვე 40 ჯურის ნაყოფის მომცემი გიბრიდები ღვინისა, საჭმელი ყურძნისა და საფერავისა, აგრეთვე ამერიკული გიბრიდები სამყნობლად. ყოველი ჯიშის გიბრიდების ამორჩევა შეიძლება სურვილისამებრ. მაქვს აგრეთვე თესლი ნაყოფიერი გიბრიდებისა. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს ყოველგვარ წერილით ან დეპეშით შემდეგის ადრესით: Въ Тьебо, Кутаисъ. მანქანა „დორემ“ ხილების სამყნობლად შეიძლება დაიკვეთოს ფეიქაროვის მაღაზიიდან ქუთაისში.

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

საკერავს:

კაბებს, წამოსასხამებს, საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს (მეტკებს)

ბარონის ქუჩა, № 12 (10—7)

განცხადებანი

ცინკოგრაფია

წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. (1000—39)

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე,

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	11 მ. —
6 თვით	4 „	6 თვით	6 „ 50
1 „	75 „	1 „	1 „ 10

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება საშივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“

განმარტება

საათფიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის გამგეობისაგან.

ტელეფონი № 741.

ხშირად გვეკითხებიან, პირად თუ წერილით: „ფარმაცევტების გარდა სხვებსაც შეუძლიანთ წევრებად ჩაწერა თუ არაო? ან კიდე: „ქალებს მიიღებთ წევრად თუ არაო?“

პასუხად ამ კითხვებისა ვაცხადებთ, რომ ფარმაცევტებმა მხოლოდ დავაარსეთ ეს ამხანაგობა, წევრებად კი ყველანი მიიღებიან განურჩევლად სქესისა. პაი ღირს ხუთი თუმანი. მსურველს შეუძლიან პაის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს წლის განმავლობაში.

ამხანაგობის დეპო და გამგეობა იმყოფება ტფილისში, მუხრანიანთ ქუჩაზე, ალიხანაშვილის სახლში. განყოფილება სასახლის ქუჩ., სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა· Тифлисъ. Товарищество Фармацевтовъ. (100—58)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Октября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.